# თავისუფალი საქართველო

№ 11

2 - 8 აპრილი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 31 მარტი - პირველი მზიანი დღე კავკასიაში

## დასრულდა ჩეჩნეთის ომის ერთი ეტაპი

31 მარტს, თითქმის ორკვირიანი უსასტიკესი დაბომბვების შემდეგ, რომელსაც უდიდესი მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა განკარგულება ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე. განკარგულების თანახმად, ფედერალური ჯარის ნაწილები გამოყვანილ უნდა იქნენ ჩეჩნეთიდან. რუსეთის მხარე აცხადებს მზადყოფნას, დაიწყოს მოლაპარაკებები პრეზიდენტ დუდაევთან.

არავინ იცის, რეალურად როგორ განვითარდება მოვლენები ჩეჩნეთის ირგვლივ (ავღანეთში ათი წლის წინ შეწყვეტილი ომი დღემდე გრძელდება). შესაძლოა, ამ ომმა სამომავლოდ უფრო რაფინირებული ხასიათიც კი მიიღოს - მაგალითად, შიდაკავკასიურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს - სადაც რუსეთს ოდენ "გამშველებლის" როლიღა დარჩება, მაგრამ უდავოა, რომ ამ ეტაპზე ჩეჩნეთის უზადო (სამხედრო, ზნეობრივმა, მოქალაქეობრივმა თუ დიპლომატიურმა) პოლიტიკურმა კურსმა უდიდესი ნაყოფი გამოიღო - მსოფლიო ომებში მრავალგზის გამარჯვებულმა რუსეთის უზარმაზარმა იმპერიამ უკან დაიხია პატარა ქვეყნის ძლევამოსილების წინაშე.

ჩვენს უსამართლო საუკუნეში ეს ლამის ერთადერთი შემთხვევაა, როცა სრულიად უპერსპექტივო აღარ ჩანს სიკეთის, სამართლიანობის, თავგანწირვის გამარჯვება უხეშ ძალაზე.

რუსეთის სათათბიროს მიერ სსრკ-ს აღდგენის შესახებ მიღებული დადგენილების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი რამდენადმე ჩაცხრა..."დემოკრატებმა" გამოხატეს თავიანთი "დემოკრატიული" პოზიცია, "მკაცრად დაგმეს" კომუნისტთა წითელი ზრახვები და... თავად შეუდგნენ სახეცვლილი საბჭოთა კავშირის აღდგენას.

კომუნისტთა მიერ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა - 29 მარტს ბელორუსიას, ყაზახეთს, ყირგიზეთსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება უფრო მჭიდრო ინტეგრაციის შესახებ, ხოლო ყაზახეთის პრეზიდენტმა, ნ. ნაზარბაევმა განაცხადა, რომ "გაღრმავებული ინტეგრაციის კარი ღიაა ყველა მსურველისთვის." ნათელია, რომ ამ კარში შემსვლელებმა ზღურბლზე უნდა დატოვონ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა და ხმა შეუერთონ "ინტეგრირებულ პროლეტართა" ინტერნაციონალს.

ასე რომ, კომუნისტებს დიდი ბრძოლა აღარ დასჭირდებათ თავიანთი გეგმის განსახორციელებლად, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილი დრო კი, ალბათ, გამოავლენს, ვის უკეთ შეუძლია ამის გაკეთება. რუსეთის ელექტორატის ბუნებიდან გამომდინარე, კონკურენცია პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის სწორედ ამ ნიშნით წარიმართება - რუსეთის პრეზიდენტი გახდება ის, ვინც უფრო ომახიანად და მტკიცედ შეუძლებს თავის ხალხს კომუნისტურ წყვდიადში. შექმნილი უკიდურესი კრიზისის პირობებში (ცხოვრების ნებისმიერ სფეროში), რუსი ამომრჩევლის თვალი წარსულისკენაა მიპყრობილი. მას იქითკენ სურსათის გორები, "სიმშვიდე", "ძმური ერთიანობა", მხიარული სანახაობები (პარადები, მშრომელთა კომუნისტური დემონსტრაციები, "სახალხო" დღესასწაულები), ერთიან საბჭოთა ოჯახში ხელიხელჩაკიდებული ხალხი, "ინტერნაციონალიზმის მადლით" გაცისკროვნებული სახეები და თვალუწვდენელი, უკიდეგანო საბჭოეთის საზღვრები ეწევა...ეს ხალხი ასაზრდოებდა ყოველთვის რუსულ იმპერიალიზმს... მათ გვერდით "მოძმე რესპუბლიკებში" კენტად დარჩენილი "მეგობრები" - ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც არიან. მათაც თვალი იქითკენ უჭირავთ, საიდანაც გვეგონა, რომ თავი დავაღწიეთ. "ჩვენ დიდი ხანია აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს", "როგორც იქნა კვლავ ერთადა ვართ"... ამგვარ ფრაზებს დღეს ხშირად გაიგონებთ სსრკ-ს ჭირისუფალ "ელიტართა" პირიდან. ისინი ყველგან არიან, ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში.

. ეს გარემოება კი იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილ რუს ხელისუფალთ საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება ნაკლები სინდისის ქენჯნით აღადგინონ "ბედნიერი" წარსული, თუმცა მას აღარ ერქმევა საშიში სახელი - სსრკ - იგი "ახლებურად", "დემოკრატიულად" აჟღერდება - ისე, რომ არც მსოფლიო დააფრთხოს და არც ქვეყნის შიგნით დარჩენილ მოდემოკრატო ძალებს მისცეს ნიშნის მოგების საშუალება.

დღეს რუსეთში წინასაარჩევნო კამპანია ამ ნიშნით მიმდინარეობს - ვინ იქნება ის "ბედნიერი", ვინც მოახერხებს და უფრო "ეფექტურად", "ლამაზად" აღადგენს ბოროტების იმპერიას. მართალია, კომუნისტებმა დაასწრეს, მაგრამ "დემოკრატიული მოძრაობის ფლაგმანები" უფრო "გამჭრიახნი" აღმოჩნდნენ - მათ კომუნისტების "რეაქციულ გამოხტომას" თავიანთი "პროგრესული" ინტეგრაციული პრინციპი დაუპირისპირეს, რასაც მძაფრი რეაქცია აღარ მოჰყოლია კომუნისტთა მხრიდან - მათ ერთმანეთს "გაუგეს"...

დღეს ოთხი რესპუბლიკა უკვე მოდერნიზებული იმპერიის წევრია. ვინ იქნება შემდეგი? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, დიდი დრო არ დასჭირდება - რუსეთმა თავის დროზე "იზრუნა" ამისთვის და თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მოახერხა ისეთი მარიონეტული ხელისუფლებების ჩამოყალიბება, რომლებიც პირველსავე დაძახებაზე შეცვივდებიან მსურველთათვის ლიად დატოვებულ "ინტეგრაციულ ჭიშკარში."

საქართველოში კი, ჯერჯერობით ბუნდოვანი სიტუაციაა (ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა ჩვენში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების წინ). საქართველოს ხელისუფლება ხან ილიესკუს მასპინძლობითაა დაკავებული, ხან თურქმენეთის პრეზიდენტის მიღებით; ხანაც თავად ემზადება თურქეთში მომავალი ვიზიტისთვის... პარალელურად კი გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის ერთადერთობის შესახებ; შიგადაშიგ მკვახე გამონათქვამებსაც არ იშურებს თავისი მწყალობლის მისამართით, რომელსაც სულაც არ აღელვებს "პოლიტიკაში ლავირებათა დიდოსტატის" იაფფასიანი "ხრიკები" და უბოდიშოდ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიაზე ბლოკ-პოსტების გახსნას და საჯარისო ნაწილების გადაადგილებას. მან კარგად იცის, რომ შევარდნაძის პოზიციის "გამკაცრება" რუსეთის მიმართ, დედის წყევლასავითაა...

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა "დაძაბვას", როგორც წესი, თვალისმომჭრელი "გამონათებები" მოჰყვება ხოლმე და შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე "დამოუკიდებლად მოაზროვნე" ქართველი პოლიტიკოსი საქართველოს მოსახლეობას განახლებულ სსრკ-ში შესვლის აუცილებლობის შესახებ "საკუთარ დასკვნებს" გააცნობს.

ჯერჯერობით კი საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის დამოუკიდებლობის "მედროშის" პოზით ეჯეკლუცება ქართველ ხალხს - აღნიშნავს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დღეს - კომუნისტებს "უყვართ გარდაცვლილები" - მათ ჯერ დაასამარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ფარატინა ქაღალდად აქციეს იგი, და ახლა ეზეიმებათ. ამ დღეს აღნიშნავს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი - ორგანიზაცია, რომლის მოღვაწეობა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გაცამტვერებისკენ იყო მიმართული. ამ "ზეიმში" მათთან არაა ქართველი ხალხი - დღესასწაულის მთავარი შემოქმედი, - რომელსაც, ვინ იცის, კიდევ რა უბედურებას და სირცხვილს უმზადებს ბოლშევიკური ურცხვობით დაღდასმული ხელისუფლება.

*ნუგზარ წიკლაური*

## სისხლიანი "საქმის გარჩევები" ინტელიგენციის წიაღში

მარტის ბოლო შემოქმედებითი ინტელიგენციის წიაღში წარმოქმნილი ქარიშხლებით აღინიშნა: 28 მარტს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში ჩატარდა გამგეობის სხდომა, რომელზედაც განიხილებოდა დედაქალაქის რამდენიმე თეატრის გაერთიანების გზით ე.წ. რუსულ-ქართული მუნიციპალური თეატრის შექმნის იდეა, რომლის ინიციატორადაც გამოდის კავშირს თავმჯდომარე, გიგა ლორთქიფანიძე და მისი კლანი. მეორე მხარეს წარმოადგენს რეჟისორთა ლიგა, რომელიც წინააღმდეგია ამგვარი მექანიკური გაერთიანებისა, ვინადან ეს აქცია არ ითვალისწინებს თეატრალური კოლექტივების ინტერესებს და სასცენო მოედნების მფლობელობის საკითხს. საქმის გარჩევამ ისეთი მძაფრი ვნებები გაალვივა, რომ ახმეტელის სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ ცივი იარაღით(დანით) ზურგში დაჭრა თავისი კოლეგა ავთანდილ ვარსიმაშვილი, ქართველი პიშმტეინი - ავტორი სერიალისა "სახლი ძველ უბანში".

29 მარტს, კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე, სადაც განიხილებოდა მუსიკალური ფონდის მესვეურთა საქმიანობა, დაისვა საკითხი ფონდის თავმჯდომარის, ჯემალ პატიაშვილის, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომელსაც, სხვათა შორის, ბრალდებად წაუყენეს ბორჯომის პლატოზე მდებარე კომპოზიტორთა კავშირის დასასვენებელი სახლის პრივატიზების მცდელობა და სხვა დარღვევები. პლენუმის მუშაობის მეორე დღეს სხდომათა დარბაზი მოიცვა მითქმა-მოთქმამ "მუსფონდის" საწყობის თითქოსდა დაწვის თუ გაძარცვის თაობაზე...

ასე რომ, ქართული შოუბიზნესის მაგნატები ამერიკულ სტილში იბრძვიან არსებობისთვის და არკვევენ ურთიერთობებს - ცეცხლითა და მახვილით.

## ზვიად ძიძიგური სასამართლოში უჩივის შევარდნაძეს

26 მარტის სასამართლო სხდომაზე უზენაესი საბჭოს წევრმა, ზვიად ძიძიგურმა აცნობა სასამართლო კოლეგიას, რომ მან, პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით, კრწანისის რაიონის სასამართლოში სარჩელი შეიტანა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მცხოვრები ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიმართ. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია: "ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა - ე. შევარდნაძემ - 1995 წლის 3 ივლისის რადიოინტერვიუში თავს უფლება მისცა ეწოდებინა ჩემთვის ტერორისტი, მკვლელი, სამტრედიის დამანგრეველი და დამრბევი, სოფლების გადამწვავი, ბევრი ტერორისტული და დივერსიული აქტის განმახორციელებელი დამნაშავე, რითიც შელახა ჩემი პატივი და ღირსებაა.

გთხოვთ, აღძრათ საქმე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. მოვითხოვ, აღდგენილი იქნეს ჩემი ღირსება. ცილისმწამებელი კი დასჯილი იქნეს კანონის მთელი სიმკაცრით."

განცხადებას თან ახლავს დანართი - გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", N74 (1090), 4 ივლისი, 1995 წელი, სადაც გამოქვეყნებულია შევარდნაძის ზემოხსენებული ინტერვიუ.

საგულისხმოა, რომ კრწანისის რაიონის სასამართლომ არ მიიღო ზვიად ძიძიგურის სასარჩელო განცხადება, ვითომდა მომჩივანის ხელმოწერის ეჭვქვეშ დაყენების გამო.

## დღესასწაული პოლიციურ სახელმწიფოში

საქართველოსთვის უჩვეულოდ ცივი, თოვლიანი მარტის გრძელი დღეების შემდეგ, გაზაფხულის პირველივე მზიანი დილა ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღეს დაემთხვა.

წელს ხელისუფლებამაც ინება რეფერენდუმის დღის საზეიმოდ აღნიშვნა. თუმცა, როგორც ბევრმა სხვა მოვლენამ, ამ სიტყვამაც ("საზეიმო") სპეციფიკური მნიშვნელობა შეიძინა ბოლო წლების პოლიტიკური რეალიების ფონზე.

ჩვენს სახელმწიფოში რაიმე მოვლენის საზეიმოდ აღნიშვნა, ძირითადად, პოლიციის და მძიმე ტექნიკის ქუჩაში გამოყრას ნიშნავს. ყველა ქმნილება თავისი ბუნებისკენ მიიდრიკება და ჩვენი პოლიციური სახელმწიფოც 31 მარტს სრული ბრწყინვალებით წარსდგა თავისი მოქალაქეების წინაშე:

კინოს სახლის და მერაბ კოსტავას ეზოს მიმდებარე ტერიტორია გადაჭედილი იყო პოლიციით, მსუბუქი ავტომობილებით, ავტობუსებით; განსაკუთრებულად ურჩი მოქალაქეების დასაშინებლად და უვნებელსაყოფად, დიდი გისოსებიანი მანქანაც მოეყვანათ.

პეტრიაშვილის ქუჩის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული ავტობუსები პოლიციელებით იყო სავსე. მსუბუქ ავტომანქანებში ქალაქის სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირები ისხდნენ.

ლარსის ქუჩა, გალის და პეტრიაშვილის ქუჩების გადაკვეთა ასევე გადატენილი იყო მანქანებით.

განსაკუთრებით "საზეიმო" განწყობა სუფევდა კოლხური კოშკის მიდამოებში. აქ დილის შვიდი საათიდან დაიწყო მზადება - მობილიზებული იყო მთაწმინდის რაიონის პოლიციის მთელი შემადგენლობა თავისი უფროსობითურთ; აქვე ტრიალებდა "თეთრფორდიანი" თემურ მღებრიშვილიც სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით. შედარებით მშვიდობიანი გარეგნობის უშიშროების თანამშრომლები მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი არაფრისმთქმელი გამომეტყველებით ათვალიერებდნენ გამვლელებს.

ფილარმონიის სახურავზე სნაიპერი იჯდა.

ტელევიზიის წინ თავს იწონებდა ჯავშან[illegible]ტრანსპორტიორი.

ერთი სიტყვით, მიღებული იყო სერიოზული სახელმწიფოებრივი ზომები, რათა საქართველოს მოსახლეობას არავითარ შემთხვევაში არ აღენიშნა თავისი პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე და მართლა მშვენიერი დღესასწაული, რომლის დაბადებაში ოდესღაც ყველამ მივიღეთ მხურვალე მონაწილეობა.

და მაინც...

კოლხურ კოშკშიც და დედაენის ძეგლთანაც, პოლიციელთა მჭიდროდ შემოჯარულ ალყაში, ჩატარდა ტრა[illegible]ულად მშვიდობიანი მიტინგები.

მიუხედავად ყველაფრ[illegible] [illegible]რთველომ წელსაც აღნიშნა დღე, რომელმაც 1991 წლ[illegible] მარტს მისი ორასწლიანი ოცნება განასხეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**...რომელზეც გადის სისხლიანი ზოლი ჩვენს იმედებსა და უსასოობას, ჩვენს სიხარულსა და ტრაგედიას შორის. დღეს ეს ზოლი გვაახლოვებს და გვაშორებს წართმეულ სამშობლოს. "ზუგდიდი - წმინდა ქალაქი" - ასე ეწერა ოდესღაც ცენტრალურ მოედანზე აღმართული ჯვრის ქვემოთ, შავ აბრაზე. დღეს ეს ლტოლვილთა ქალაქია, რუსული და სომხური ბატალიონებით ალყაშემორტყმული სასაზღვრო ზონა, რომელშიც აღარავინ გრძნობს თავს შინაურად**

# ლტოლვილთა ბედის გამგებლები

21 მარტს, დილით, სრულიად მოულოდნელად წავაწყდით ქალაქის მერიის შენობასთან შეკრებილ აფხაზეთიდან დევნილებს, რომლებსაც ხელთ ეგდოთ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, ბონდო ჯიქიას პირველი მოადგილე ლერი

მარაგებენ... თავი გვაქვს განწირული იმიტომ, რომ აქეთ ასე გვაწვალებენ. აქ რომ გვაკმაყოფილებდნენ, გალში არავინ გადავიდოდა.

ადამიანების უმრავლესობა თამამად და პირდაპირ ლაპარაკობდა თავის სატკივარზე, მეტწილად არ უფრთხოდა

# მოდით, თავს დავესხათ ბანკს...

ბუნებრივია, ჩვენ დავინტერესდით მეორე მხარის არგუმენტებითაც, როგორღაც გავარღვიეთ ვახტანგ შონიას გარემომცველი ალყა და სახელდახელოდ ავიღეთ მისგან ინტერვიუ, რომელშიც დევნილებიც აქტიურად ჩაებნენ.

**კორესპონდენტი: - რა გამოსავალია ამ სიტუაციიდან და რა არის თქვენზე დამოკიდებული?**

ვახტანგ შონია: - გამოსავალი ის არის, რომ ვაშაკიძის სამინისტროდან ფული ჩარიცხონ. მე შემიძლია მხოლოდ განაცხადი გავუგზავნო და მოვითხოვო ფული. მოვიდა მხოლოდ ერთი თვის თანხა.

**კორ. - ხალხი მოითხოვს ერქვანიას და ნადარეიშვილის ჩამოსვლას. შესაძლებელია თუ არა ეს?**

ვ. შ. - მე გუშინ ვიყავი ერქვანიასთან და ყველაფერი მოვახსენე. პირველი აპრილიდან ერქვანია, ვაშაკიძე და სხვები - მთელი კომისია ჩამოდის. 8-9 აპრილს დაიწყება ახალი რეგისტრაცია სიების დაზუსტების მიზნით - სხვა პრობლემა არ არის. სიაში არ უნდა მოხვდეს კაცი, რომელსაც ათი და მეტი მოწმობა აქვს. ეს თანხა რომ დარიგდება, სიები დაზუსტდება, მათი მიხედვით მოხდება ფულის ჩარიცხვა. სამი დღე ვიყავი თბილისში, რაც შემეძლო გავაკეთე. ვინც კი შევიდა კომისიაში, ყველამ ახალი გვარები მიუმატა სიას. კომისიაში არც ერთი ზუგდიდელი არ დაგვიშვია, ყველაფერი ისევ ლებენ.

**ყუფენია**, ოჩამჩირიდან: - ვდგავართ რიგში, ხუთი კაცია გასული და გვეუბნებიან - ფული გათავდაო. შიგნიდან გააქვთ. რატომ ხდება ეს? ლტოლვილების რაღაც ნაწილზე, დაახლოებით 3000 კაცზე, თანხები გაცემულია ნოემბრის თვიდან.

ვ. შ. - ქალაქში რიგდებოდა ფული და გამოყოფილი თანხა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ 3156 კაცზე. 21000 კაცზე მეტი დარჩენილია, ვინც უნდა მიიღოს ნოემბერ-დეკემბრის დახმარება. ბოლო აღრიცხვით, სულ 68885 კაცი გამოვიდა, აქედან პენსიონრია 7800 კაცი. ეს რიცხვი გამოაკელით საეთო რაოდენობას და გამოდის 61079, გაამრავლეთ 6-ზე (თითო სულზე გამოყოფილი დახმარების რაოდენობა) - გამოვა 366474 ლარი. ამ სამი თვის განმავლობაში ჯერ ჩემთვის თანხა საერთოდ არ ჩაურიცხავთ.

**გაბუნია**, ოჩამჩირიდან - რატომ არ რიცხავენ?

ვ. შ. - იმიტომ, რომ გაზრდილია, გაბერილია სიები. ახლა, ამ გაცემისას ეს სიები დაიფერთხება და გაიცემა მთელი დავალიანება. ასეთი პირობა მომცეს ვაშაკიძემ, ერქვანიამ, ყოლბაიამ - მეტი სად წავიდე?!.

**კორ. - ამბობენ, ფქვილია შემოსული და არ გვირიგებენო?**

ვ. შ. - საწყობი ახლაც სავსეა ფქვ-

ებას და ამ რაოდენობაში არ არის ჩათვლილი პენსიონერები. ამიტომ დაეჭვდნენ და შეაჩერეს ფქვილის გაცემა. (ნათელია, რომ გაძვირებამდე ფქვილის დარიგება არ შედიოდა არც წითელი ჯვრის წარმომადგენელთა და არც მისი ჰუმანიტარული დახმარების ხარჯზე მოვაჭრე ნომენკლატურის ინტერსებში. - რედ.)

**მალიშავა**, ოჩამჩირიდან, ამჟამად მცხოვრები ზუგდიდში, ლომოურის ქუჩა N56 (ლაპარაკობს ვახტანგ შონიას თანდასწრებით) - სამი წლის გოგო მყავს, თეონა ანზორის ასული მალიშავა. დაავადებულია ჰიდროცეფალიით ("გრადის" ნაღმის დამრტყმელი ტალღით გამოწვეული [illegible]დება), თავიდან მუცლის ღრუმდე [illegible]ირებულია, სამჯერ გაუკეთე ოპ[illegible]. ახლა დროებით ფოთში მყავს ნაც[illegible] ქალიშთან. საოპერაციოდ თბილისში უნდა წავიყვანო. ცხრა თვეა ვითხოვ, გზის ფული მაინც მომცენ. ვახტანგ შონიამ მითხრა - ხუთზე ვიცი ჰიდროცეფალია-მიკროცეფალიაა, მე რა გიყო, ჩადექი რიგში და როცა იქნება მიიღებო, თუ გინდა წავიდეთ, ბანკს დავესხათო თავს. ასეთ რამეს რომ გეტყვის, რაღა უნდა უთხრა... გუშინ ბავშმა ოთხი ქანგბადის ბალიში დაცალა, ოთხი რელანიუმი გავუკეთეთ.

ვ. შ. - განცხადება უნდა დაიწეროს...

მალიშავა - რომ დავწერე განცხადება ბონდო ჯიქიას სახელზე, რა პასუხი გამეცით? მითხარით თუ არა - საერთოდ დაანებე თავი განცხადების წერასო?

საუბარში ჩაერია ზუგდიდის მერიის თანამშრომელი, რომელმაც საკმაოდ აგრესიულად შეუტია ქალბატონს - ოქროს საყურეები რომ გიკეთია, გაყიდე და ფულიც გექნებაო. "ვის უნდა ჩემი ოქრო, კაპიკადაც არავინ იღებს" - უპასუხა თვალებზე ცრემლებმომდგარმა ქალმა გასაქცევად გამზადებულ ფუნქციონერს, რომელმაც რატომღაც არ ისურვა ჩვენთვის გაემხილა თავისი ვინაობა.

ამასობაში მერიიდან გამოსულმა ლერი ჭითანავამ ამცნო შეკრებილთ, რომ ელაპარაკა მინისტრს - ვალერი ვაშაკიძეს, და მიაღწია შეთანხმებას - გადმორიცხული თანხა დარიგდეს როგორც იანვრის თვის დახმარება. ვაშაკიძე პირობას იძლეოდა, რომ მომავალ კვირაში ჩამოვიდოდა და მოაგვარებდა დანარჩენი დავალიანების საკითხს. ხალხი აღშფოთებით შეხვდა ამ ცნობას და პრობლემის გადაწყვეტის გადავადებად აღიქვა.

# ზუგდიდი - სასაზღვრო რაიონი

ჭითანავა და ლტოლვილთა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ შონია. აღშფოთების მიზეზი კი ის იყო, რომ რაიონში მცხოვრები დევნილების უმრავლესობას 1995 წლის ნოემბრიდან არ მიუღია კუთვნილი ფულადი დახმარება - სულზე 6 ლარი.

დევნილთა დიდი ნაწილის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ზუგდიდის ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩაბმული ლტოლვილთა დახმარების სტრუქტურებში და, რბილად რომ ვთქვათ, ითვისებს ფულად თუ სხვა სახის დახმარებას. იქვე აღნიშნავენ, რომ მათ პრეტენზიები აქვთ არა საზოგადოდ ზუგდიდელების, არამედ ადმინისტრაციის, მმართველობის მიმართ. "აქაური ხალხი თავზე გადაგვყვა, უკანასკნელი გაგვიყო და დღესაც მათი მეოხებით გვიდგას სული. ჩვენს წაკიდებას ნურავინ ეცდებაო".

წაკიდების მსურველნი, ალბათ, მართლაც არიან: ერთ-ერთმა ზუგდიდელმა ახალგაზრდამ ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები შეურაცხყოფად მიიღო - აქაოდა ზუგდიდელებს რას ერჩითო, და ლამის ჩხუბი წამოიწყო. მისი ქცევა უმალ პროვოკაციად იქნა მიჩნეული და აურზაურის ამტეხი გააძევეს.

ზოგიერთები თვლიან, რომ ზუგდიდში, როგორც ენგურს მოსაზღვრე რაიონში, განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეგნებულად იქმნება. კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში, ყველა როდი ბედავს გააცხადოს. ამითვე ამართლებენ ლტოლვილთა ნაწილის თვითნებურ გადასვლას გალის რაიონში.

**თორია**, გალიდან: - მერე იტყვიან, მაინც გალში გადადიხართო. როგორ არ გადავიდეთ, იქ ჩარჩენილი მოხუცები რაღაცა პროდუქტით მაინც გვა-

ვინაობის გამხელას. პირიქით, გვარსახელი დაგვიმალეს ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულმა პოლიციის მუშაკებმა და მერიის თანამშრომლებმა. პოლიციის ზუგდიდის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, რობერტ ჩიქობავამ ჩვენთან საუბრისას რატომღაც 9 აპრილის ტრაგედია მოიხსენია - მაშინაც ვიღაც-ვიღაცეებმა ასე ააღელვესო ხალხი. უცნაურია, მაგრამ ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაციაც სწორედ 9 აპრილისთვისაა დაგეგმილი.

ჩვენმა ხალხმა გააკეთა. ადგილობრივებს ნუ აბრალებენ ნურაფერს.

მე მოვედი სექტემბრის თვეში, ფულის დარიგება დავიწყე მარტიდან. აპრილიდან 738 ათასი ლარი აკლდა და იმის მერე მოდის ეს ამბავი. ამის შესახებ მივწერე ვაშაკიძეს - დოკუმენტიც მაქვს.

**კორ. - აქ ამბობენ, რომ სხვა რაიონებში არ არის ეს პრობლემა...**

ვ. შ. - ზუგდიდი სასაზღვრო რაიონია (?!), აქ ძალიან დიდი მიმოსვლაა, მიგრაცია. ახლა დაახლოებით ორმოცი ათასი ლტოლვილი იქითაა გადასული. არსებული ინსტრუქციის მიხედვით, ეს ხალხი უნდა მოვიდეს და პერსონალურად მიიღოს თანხა. შეძლებენ ამას? ვერ შეძილით, მაგრამ მე პროდუქტებთან არავითარი საქმე არა მაქვს. ეს ფქვილი გერმანელებისგან გადაცემული აქვს წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციას. ისინი თვითონ საზღვრავენ, თავიანთი კოორდინატორების მეშვეობით, სად რა და როგორ უნდა გააკეთონ.

**კორ. - როდის მოხდა ეს - მაშინ ხომ არა, ფქვილი რომ ძვირდებოდა?**

ამ კითხვამ შეაცბუნა ბ-ნი შონია, მაგრამ მაინც გვიპასუხა: - ...დიახ. ამ გერმანელებმა წინა ჯერზე თითო სულზე 12,5 კგ ფქვილი დაარიგეს ძველი სიებით. მერე ვიღაცამ ჩააწვეთა და მათაც დაიჩემეს - ზუგდიდში 61 ათასი კაციაო. ეს არის ის ხალხი, ვინც იღებს დახმარ-

# სად არის მილიონი სამუშაო ადგილი?

**ქაცაბაია ვალერიანი**, გალიდან: - ნოემბრიდან დაწყებული, ოთხი თვეა ფულადი დახმარება არ მიგვიღია; ჰუმანიტარულ დახმარებას არიგებდნენ, მაგრამ ახლა ისიც შეაჩერეს. მე საბავშვო ბაღში ვცხოვრობ, სადაც მინებიც კი არ არის და ცელოფანი გვაქვს გაკრული. მოვითხოვთ აფხაზეთის მთავრობის - ზურაბ ერქვანიასა და თამაზ ნადარეიშვილის ჩამოსვლას. მოვიდეს პროკურატურის ხალხი, შეამოწმონ რა ხდება ზუგდიდის რაიონში. ყველა სხვა რაიონში, თებერვლის ჩათვლით, დარიგებულია დახმარება.

**გოგუა**, სოხუმიდან: - აქ ოჯახში მიგვიღეს, ყველაფერი დაგვიტოვეს. ახლა ესენი გვეუბნებიან, თქვენ ოჯახებში ცხოვრობთ და ყველაფერი გაქვთო. მე ჩემი შვილი უღელტეხილით ძლივს გადმოვიყვანე. იცით, იქ რა ამბავიც იყო - ზოგმა ვერც გადმოაღწია. ჩემს შვილზე მეზრუნა თუ იმაზე, სად მოვწყობილიყავი - სადაც უფრო კარგად დაარიგებდნენ დახმარებას? ერთხელაც არ მიმიღია ეს ჰუმანიტარული. რაც გადმოვედი, პატარა ბავშვისთვისაც კი არაფერი მოუციათ - არ გეკუთვნითო. ესე იგი ჩვენ არ ვყოფილვართ ლტოლვილები.

**კუხალაშვილი**, სოხუმიდან: - სვანეთის გზით გადმოვედი, ჯოჯოხეთი გამოვიარე და ხედავთ, ახლა აქ რა დღეში ვართ? ყველაფერი ასე საწვალებელია, ყველაფერი ზუგდიდის გამგებლობას აქვს ხელში.

**ღურწყაია**, ბერიადან: - რა ხდება, გაგვაგებინეთ?! აქ, სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი ხალხია და ყველაზე მეტად გვიჭირს. ოთხი სული ვართ, აქედან სამი ბავშვია. მაისიდან დაწყებული, არ აგვილია დახმარება.

**ეფენია**, ოჩამჩირიდან: - ვაუჩერებს არ იძლევიან, მეტრიკა მოიტანეთო, საიდან მოვიტანო მეტრიკა, როცა ყველაფერი იქ დამრჩა.

**მედეა არდია**, ტამიშიდან: - ნოემბრის შემდეგ არ ამიღია დახმარება. არიგებენ ლობიოს (ამ მოსაკლავმა ლობიომ უნდა მოგვკლას ჩვენ!), პურის ფქვილს, შაქარს, ბრინჯს, ზეთს. რძის ფხვნილი და მაკარონი ამოიღეს სიიდან.

ზოგი მაინც უფრთხოდა საკუთარი ვინაობის გამხელას:

- ყველაფრის მიზეზი ზემოდანაა. განა თბილისმა არ იცის, რა ხდება ზუგდიდში?! ძალიან კარგად იცის. იქიდან რომ არ იყოს მხარდაჭერა, ზუგდიდი ვერაფერს გააკეთებს. ეს ყველაფერი ხდება ზემოდან, შეგნებულად - აბა როგორ გგონიათ. ბატონი შავარდნაძე რომ გვპირდებოდა მილიონ სამუშაო ადგილს, სადაა, რატომაა უმუშევარი ხალხი. სულ არ მჭირდება თქვენი დახმარება, რად მინდა ეს ექვსი ლარი - მომეცი სამუშაო. მოგვცეს რასაც დაგვპირდა, ვითხოვთ ან სამუშაოს, ან დაბრუნებას. სანამდე უნდა გვატყუოს?! ამბობენ, ბიუჯეტი არ არისო, 80 ათასიანი მილიცია რომ არის საქართველოში, ის შეკვეცონ, დაურიგონ ფული მასწავლებლებს, ლტოლვილებს.

**დღეს ეს ყველასგან გაწირული და ყველაფრით ხელისუფლებაზე დამოკიდებული ადამიანები ასე ცალ-ცალკე, ადგილ-ადგილ იბრძვიან არსებობისთვის, მაგრამ რა იქნება ხვალ - რას უქადის მათ შვილებს მომავალი და რას უქადიან ჩვენი ქვეყნის მომავალს მათი შვილები. აფხაზეთის ტრაგედია მხოლოდ ახლა ყალიბდება "აფხაზეთის სინდრომად", რომელიც ტრაგედიის გაგრძელება იქნება - არანაკლებ მტკივნეული და მასშტაბური.**

*რეპორტაჟი მოამზადეს*
*ა. ჭავჭავაძემ და*
*ლ. ბერუაშვილმა*

# "თქვენს მეუღლეს დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ საშუალება რომ ჰქონოდა, აუცილებლად ჩაიდენდა"

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაურზე 1995 წლის 29 აგვისტოს გახმაურებული თავდასხმის შემდეგ, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ამ ტერაქტის "მომწყობი ზვიადისტების" ჯგუფი, მათ შორის: ზ.გარდოსანიძე, ზ. დვალი, შ. რატიანი, გ. გელაშვილი, გ. ონიაშვილი, თ. ელაშვილი და სხვები (მათგან ზოგიერთს დღეისთვის შეეცვალა აღმკვეთი ღონისძიება და თავდებშია გამოშვებული). გამოძიება უკვე მეშვიდე თვეა მიმდინარეობს და, ადვოკატთა აზრით, კონკრეტული ბრალდება ამ ადამიანების მიერ შევარდნაძეზე თავდასხმის მოწყობის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. როგორც ვიცით, ამ ტერაქტისა და ბევრი სხვა მკვლელობის ჩადენა ბრალად ედებათ კონკრეტულ პირებს - უშიშროების სამსახურის ყოფილ შეფს, პასუხისმგებელ მუშაკებსა და "მხედრიონის" ლიდერებს. მაშინ საინტერესოა, კონკრეტულად რა დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი ზემოაღნიშნულ პირებს ?!

როგორც ამ საქმეზე ერთ-ერთი ეჭვმიტანილის - შოთა რატიანის მეუღლის საპროტესტო წერილიდან და მისი ადვოკატის - მერაბ ნავროზაშვილის განცხადებებიდან ირკვევა, პოლიტპატიმრის მიმართ წარდგენილი ბრალდებები არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. შვიდი თვის მანძილზე შოთა რატიანის მიმართ ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას: მისი ბინის ჩხრეკა ჩაატარეს სანქციის გარეშე, ჩხრეკის ოქმი არ დაუტოვებიათ ოჯახის წევრებისთვის; ადვოკატს, კანონით გათვალისწინებული უფლების საწინააღმდეგოდ, არ აცნობენ საქმის მასალებს, თავისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრას კი იგი მხოლოდ დიდი ძალისხმევისა და გამუდმებული მოთხოვნების შედეგად ახერხებს. მიუხედავად ადვოკატის არაერთგზის მოთხოვნისა, შოთა რატიანს არ ჩატარებია არც ერთი დაპირისპირება, პოლიტპატიმრის მიმართ დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფცია - უშიშროების სამსახურის მინისტრის მოადგილემ ა.იოსელიანმა წინასწარ გამოუტანა მას განაჩენი.

პოლიტპატიმრის მეუღლე არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება, სუკის ხელმძღვანელობასთან ერთად, ეცდება უმძიმესი ბრალდებები მოახვიოს თავს უდანაშაულო ადამიანებს, მათ შორის შოთა რატიანს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქალაქის უშიშროების სამმართველოში მეუღლის შესახებ ამბის გასაგებად მისულ ქ-ნ თამარ გურულს სამმართველოს უფროსის მოადგილემ - მ.სალაყაიამ განუცხადა:" თქვენს მეუღლეს დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ საშუალება რომ ჰქონოდა, აუცილებლად ჩაიდენდაო".

*ი. დგებუაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყორბესაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კარცერში მოთავსებული გიორგი ყორბესაშვილი საპროტესტო შიმშილობის მეთოთხმეტე დღეს გადაიყვანეს იზოლატორის საავადმყოფოში. ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და პარლამენტის პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომისიის წარმომადგენლებმა მხოლოდ ამის შემდეგ ინახულეს მოშიმშილე, თუმცა ამ ვიზიტმა ვერ შეაცვლევინა ყორბესაშვილს გადაწყვეტილება. 29 მარტს, შიმშილობის მეთვრამეტე დღეს, საქმეში არსებული ზოგიერთი დარღვევების დაფიქსირების შემდეგ, პოლიტპატიმარმა შეწყვიტა თავისი საპროტესტო აქცია და დათანხმდა საქმის მასალების გაცნობაზე.

# მსჯავრდებული "ზვიადისტები" კვლავ განიცდიან შევიწროებას

საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ უკვე მსჯავრდებული და სასჯელის მოსახდელად ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაგზავნილი "ყვარლის ბიჭების" დიდი ნაწილი რამდენიმე ხნის შემდეგ, ვითომდა გვირაბის გათხრის მცდელობისთვის, უკანონოდ და სრულიად უსაფუძვლოდ გაასამართლეს და მიუსაჯეს ერთ-ნახევრიდან სამ წლამდე პატიმრობის მოხდა საპყრობილეში. ამდენად, ქსნის კოლონიის ადმინისტრაციამ შესანიშნავი ხერხი გამონახა არასასურველი და ურჩი პოლიტიკური ოპონენტების თავიდან მოსაცილებლად. "ყვარლის საქმის" მონაწილე ზოგიერთი მსჯავრდებული - ლერი დონაძე, გელა გაჩეჩილაძე, ემზარ კობაიძე და სხვები დღესაც საპყრობილეში არიან. მრავალი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლადაა შერყეული.

როგორც ჩანს, გვირაბის გათხრისთვის "ზვიადისტების" დასჯა ტრადიციად ყალიბდება საქართველოს სადამსჯელო დაწესებულებებში.

ამჯერად ქსნის კოლონიის ადმინისტრაციის გამოცდილება მსჯავრდებულ პოლიტპატიმართა შევიწროების საქმეში, წარმატებით გამოიყენა რუსთავის №1 კოლონიის უფროსმაც. კანონიერი ხელისუფლებისთვის მებრძოლნი, იგივე მიზეზის გამო - "გვირაბის გათხრის მცდელობისთვის" - რამდენიმე თვის მანძილზე კარცერში ჰყავდათ დამწყვდეული : რუზგენ ხასია - 1995 წლის ოქტომბრიდან, მამუკა ჩუხუა - 1996 წლის 10 იანვრიდან, ხოლო დავით ყუფუნია - 13 იანვრიდან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული გვირაბი ხასიას დამწყვდევის მომენტისთვის არ არსებობდა, ის მხოლოდ ორი კვირის შემდეგ "აღმოაჩინეს". მსჯავრდებულთა მდგომარეობა იმითაც დამძიმდა, რომ მხოლოდ ახლახან მოხერხდა მათი გადაყვანა საპყრობილეში, ამ უკანსკნელის გადატვირთვის გამო. სამივე პატიმარს თვეების მანძილზე კარცერის გაუსაძლის პირობებში ამყოფებდნენ, რამაც მათ ჯანმრთელობაზეც იმოქმედა - დ. ყუფუნიას და მ. ჩუხუას ტუბერკულოზის ნიშნები აქვთ. ამას გარდა, ჩუხუას ძიების დროს წამების შედეგად თავის არეში მიღებული ტრავმებიც ახსენებენ თავს და მას პერიოდულად ებინდება გონება.

ი.დგებუაძე

# ჩვენებას იძლევა ზვიად ძიძიგური

25 მარტს, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე, სასამართლო გამოძიებისთვის ჩვენების მიცემას შეუდგა კანონიერი უზენაესი საბჭოს წევრი, განსასჯელი ზვიად ძიძიგური. ყოველდღიურად 6 საათის განმავლობაში ფეხზე მდგომი, იგი იძლევა ჩვენებას, რომლის მიხედვითაც იკვეთება და შეფასება ეძლევა საქართველოში 80-იანი წლების ბოლოდან მიმდინარე პროცესებს, მათ განმსაზღვრელ ტენდენციებს და მათში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისა და ცალკეული პიროვნებების როლს. ეს ჩვენება წარმოადგენს კონტრბრალდებას პროკურატურის მიერ შეთხზული საბრალდებო დასკვნის მიმართ. თუმცა არა მხოლოდ...

ზვიად ძიძიგურის ჩვენება საშუალებას აძლევს მთელ ქართულ საზოგადოებას თავიდან გააცნობიეროს ჩვენს თანამედროვეობაში ეროვნული მოძრაობის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ეტაპები, კიდევ ერთხელ გადააფასოს საკუთარი პოზიციისა და ქცევის სისწორე უკანასკნელი 6-7 წლის რეალიებში.

ზვიად ძიძიგური ეხება ჩვენს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობის უმთავრეს საკითხებს - რატომ მოხდა განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში, როგორია ამ დაპირისპირების ბუნება, ვინ რა პრინციპებს ეყრდნობოდა, რა მეთოდებს მიმართავდა მიზნის მისაღწევად, ვინ რას ისახავდა მიზნად და, საერთოდ, ვინ ვინ არის? იგი თავიდანვე გამოკვეთავს ორ ძირითად ძალას: ხალხის ნდობაზე დაფუძნებულ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც ყველა ეტაპზე ირჩევდა მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზას და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც, თვით შეიარაღებული კონფრონტაციის დაწყებისასაც კი ხელმძღვანელობდა ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ მიმართული ჰუმანურობის პრინციპებით; და ნომენკლატურულ-კრიმინალურ კლანს, რომელიც იმთავითვე ეყრდნობოდა შეიარაღებული ძალის მეშვეობით ძალაუფლების მოპოვების ბოლშევიკურ ტრადიციას და რომლის ძირითადი საყრდენი ქვეყნის გარეთ მოიძიება.

ამ კონტექსტში, სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებული დეპუტატი მკვეთრად უსვამს ხაზს საქართველოში მომხდარი ტრაგედიის მთავარ მიზეზს - უცხო, იმპერიული სახელმწიფოს აქტიურ სამხედრო და პოლიტიკურ ჩარევას ქვეყნის შინაურ საქმეში. საქართველოში არსებული დაპირისპირება, 1991-92 წ.წ. მიჯნაზე მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, აფხაზეთში პროვოცირებული ომი და 1993 წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები, ძიძიგურის ჩვენების თანახმად, არ ატარებს შიდაპოლიტიკური და სამოქალაქო დაპირისპირების სახეს. ესაა რუსეთის მიერ საქართველოს ეტაპობრივი ოკუპაციის პროცესი, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს პუტჩის გზით მოსული უკანონო ხელისუფლება, რომლის არსებობასაც დღემდე არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი საფუძველი.

სწორედ ეს იწვევს სასამართლო კოლეგიის განსაკუთრებულ შეშფოთებას, ვინაიდან, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების გასამართლებით, სამართლიანობისა და კანონის დაცვისთვის მოწოდებული ორგანო თავად ექცევა სამართლებრივ ჩიხში და უკვე ამით უარყოფს თავის კანონიერებას.

**(ზვიად ძიძიგურის ჩვენების ვრცელ ვარიანტს გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში)**

# მოსამართლე ალადაშვილი მოთმინებას კარგავს

27 მარტს, როდესაც განსასჯელი ზ. ძიძიგური შეეხო 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას თბილისში (მეტეხის ხიდთან) და სოფელ ალაიანთან უზენაესი საბჭოდან გამოსულ ავტობუსებში მგზავრთა დახვრეტის ამბავს, მოსამართლემ გამოთქვა უკმაყოფილება: "თქვენ, ძიძიგური, ბრალი რაშიც გედებათ, იმაზე ისაუბრეთ... რომელი ავტობუსი საით წავიდა, ვის რაში აინტერესებს?..."

ზვიად ძიძიგურმა განაზოგადა სახელმწიფო გადატრიალების შედეგები და შეაფასა როგორც რუსული იმპერიული ძალების მიერ გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის წარმატებით შენარჩუნება, რაზეც მოსამართლე კვლავ აღელდა: "რა ლექციას გვიკითხავ, საქმეზე გველაპარაკე. ჩვენ არ ვაძლევთ პოლიტიკურ შეფასებას - ეს არაა ჩვენი საქმე". პასუხად ზვიად ძიძიგურმა განაცხადა: "საპროცესო კოდექსის **69-ე მუხლის მიხედვით, განსასჯელს უფლება** აქვს ისაუბროს ბრალდების ირგვლივ და ასევე მისთვის ცნობილი საქმის გარემოებათა შესახებ. ყველა ის ფაქტი, რომელზეც მოგახსენებთ, ნამდვილად მოხდა. მე ამის მოწმე ვარ, ყველაფერი ჩემი თვალით მინახავს და განმიცდია, სწორედ ამან განაპირობა ჩემი შემდგომი საქმიანობა. ამის გამო, საჭიროდ მიმაჩნია, ვილაპარაკო იმ დანაშაულობათა შესახებ, რომელიც კანონიერი ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი. საბრალდებლო დასკვნის მიხედვით, სახელმწიფო საბჭო მიჩნეულია "ხელისუფლებად", ხოლო ჩვენ კი "ბანდიტებად" და "ყაჩაღებად". ჩვენ გვბრალდება საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა. მე სასამართლოს უნდა გავაგებინო, მართლა იყო თუ არა სახელმწიფო საბჭო ლეგიტიმური და რამდენად იცავდა საქართველოს ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას. თუ მე მეუბნებიან - კაცი მოკალიო და მე არ მომიკლავს, არ ვთქვა, როცა ვიცი ვინაა ნამდვილი მკვლელი?..."

28 მარტის სასამართლოს სხდომაზე ზვიად ძიძიგურმა ჩამოაყალიბა, თუ როგორ იქმნებოდა "ფაფახიანი ჩეჩნების" და პრეზიდენტ გამსახურდიას სახით მტრის ხატი და რა მოვლენები ვითარდებოდა ამ დროს ჩრდილო კავკასიაში.

მოსამართლე ა. ალადაშვილმა გადაწყვიტა, სიმტკიცე გამოეჩინა: "მე გაფრთხილებთ, ისაუბრეთ იმაზე, რაც თქვენს საქმეს შეეხება, არ მოგცემთ საშუალებას გამართოთ მიტინგები. თქვენ ბრალად გედებათ ხოზში ჩეჩნების შემოყვანა და იმაზე ილაპარაკეთ!..."

ამ დროს დარბაზიდან გაისმა რეპლიკა: "მაშინ ისიც თქვით, რუსები ვინ შემოიყვანა?!" ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო მოსამართლის მოთმინების ფიალა. მან ბადრაგს უბრძანა, გარეთ გაეყვანათ "დამნაშავე", მაგრამ შეცდომით სხვას დაატყდა მოსამართლის რისხვა, რამაც გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება. არასასურველი რეპლიკის ავტორი გახლდათ კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი აფხაზეთიდან, სოხუმელი ლტოლვილი, ბატონი ველოდი მირცხულავა, რომელმაც აღიარა "დანაშაული".

მცირე შესვენების შემდეგ სხდომა განახლდა. მოსამართლე ალადაშვილმა გასცა ბრძანება, რომ შემდგომში შემოუშვან მხოლოდ იმდენი ადამიანი, რამდენი ადგილიც იქნება დარბაზში, ეს კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენ სკამს დაიკავებენ ბადრაგის, უშიშროების სამსახურისა და წესრიგის დასაცავად მოყვანილი პოლიციელთა რაზმის წევრები.

ამგვარად, მოსამართლემ კიდევ უფრო შეზღუდა პოლიტიკურ სასამართლო პროცესზე დასწრების მსურველთა რაოდენობა. ღია სასამართლო პროცესი თანდათან დახურული ხდება.

პუბლიკაცია მოამზადა
ს. გურამიშვილმა




კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

**(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)**

### თავი მესამე

### დისიდენტობა

(გაგრძელება)

მოგვიანებით გამსახურდია განმარტავდა: "ციხიდან დაბრუნებისთანავე მუშაობას შევუდექი. აღვადგინე კავშირი დასავლეთთან. იმხანად ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს კავშირი იყო, რადგან მისი მეშვეობით საზღვარგარეთ ინფორმაციის გატანას ვახერხებდით. იმ დროს დასავლეთი მხარში გვედგა, ჩვენს ინფორმაციებზეც საკმაოდ მძაფრად რეაგირებდა... დღეს ის ყრუა და ბრმა. ჩემს გარდა ვერავინ მოახერხებდა ამ კავშირის აღდგენას, რადგან მეტად სარისკო საქმეს წარმოადგენდა. მე მსოფლიოში ცნობილი ვიყავი, ამიტომ ჩემს ხელმეორედ დაპატიმრებას ველარ ბედავდნენ. ამგვარად, ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც უცხოელებს უკავშირდებოდა. სხვას ამგვარი საქმიანობისთვის დაუყოვნებლივ დააპატიმრებდნენ."

ოფიციალურად ზვიად გამსახურდია თავისუფალი იყო, თუმცა თბილისიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. მასზე მუდმივი მეთვალყურეობა იყო დაწესებული, რასაც არც მალავდნენ. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც. მაგრამ გამსახურდიას დაშინება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იგი იყო "AMNISTY INTERNATIONAL"-ის პირველი, თანაც საკმაოდ ცნობილი, წევრი საბჭოთა კავშირში. აქედან გამომდინარე, შეეძლო საზღვარგარეთ ინფორმაციის გავრცელება პოლიტპატიმართა კატასტროფული მდგომარეობისა თუ მორწმუნე ქრისტიანთა დევნის შესახებ.

საბჭოეთში გამეფებული სრული უკანონობის თვალნათელ ნიმუშად ისიც კმარა, რომ 1982 წელს მერაბ კოსტავას, პოლიციის ერთ-ერთი მუშაკის მიერ აშკარად შეთითხნილი ბრალდებით, პატიმრობის ვადის ამოწურვის წინ კიდევ ხუთი წლით გაუგრძელეს თავისუფლების აღკვეთა, ამჯერად სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ამასთან, ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებაც წაჰგვარეს. სასამართლო პროცესზე კოსტავამ განაცხადა: "თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს". რეპრესიების პასუხად კოსტავამ უვადო შიმშილობა გამოაცხადა, თუმცა ხელოვნურად კვებავდნენ იძულების წესით. ზვიად გამსახურდიამ მერაბის უფროსი მეგობრისგან შეიტყო მისი ჯანმრთელობის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ. თუ რა ლონე იხმარა, თავად ზვიადის სიტყვებიდან ჩანს: "სასწრაფოდ ვაფრინე ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან ფრანს პრესის მეშვეობით, მარშე მიტერანს დაუკავშირდა, მიტერანი - ანდროპოვს. ახმაურდა პრესა, აყვირდნენ რადიოსადგურები; მისცეს მერაბს ახლობლებთან შეხვედრის უფლება და მან შეწყვიტა შიმშილობა." ეს არის ხანგრძლივი ბრძოლის მხოლოდ ერთი ეპიზოდი. ორი წლის შემდეგ ციხის ადმინისტრაციამ კვლავ სცადა კოსტავასთვის დამატებითი ხუთი წლის მისჯა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ უნდოდათ სამუდამოდ შეუძლებელი შექმნილიყო მისი თანამშრომლობა ზვიადთან, რომელიც ამასობაში ილწოდა ფინეთში, შვედეთში, ჰოლანდიასა და ირლანდიაში "მერაბ კოსტავას დაცვის კომიტეტის" შექმნისთვის. იმავ დროს რონალდ რეიგანი კოსტავას დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ითხოვდა (ამერიკელი პრეზიდენტი ქართველ დისიდენტს "IRON MAN" - "რკინის ადამიანს". უწოდებდა).

1983 წელს საიდუმლო სამსახურის ერთმა ოფიცერმა გამსახურდიას ჰკითხა: "არ გეშინიათ ანდროპოვის? ის თქვენ გაგისწორდებათ." ამ მუქარის შემდეგ ძალიან მალე, ანდროპოვი გარდაიცვალა. ის შეცვალა ჩერნენკომ, რომელიც ერთი წლის შემდეგ ასევე გარდაიცვალა. 1985 წელს დაიწყო პერესტროიკა.

დასასრულ, დასკვნის სახით იმას ვიტყოდით, რომ ზვიად გამსახურდია არ მიეკუთვნება მიამიტი, რეფორმისტი დისიდენტების რიცხვს, რომლებიც საბჭოთა სისტემის რეფორმისთვის იბრძოდნენ და რომელთა ღვაწლიც საბოლოოდ გორბაჩოვმა მიისაკუთრა. ზვიად გამსახურდია, როგორც ქრისტიანი და დემოკრატი, საბჭოთა სისტემის ოდენ რეფორმირებისთვის კი არ იბრძოდა, არამედ მისი სრული გაუქმებისთვის. ამავე დროს მასში წვეთი სისხლი არ ყოფილა რევოლუციონერის. ძნელი მოსაძებნია მეორე პიროვნება, რომელიც მისებრ სრული ანტიპოდი იქნებოდა ევროპის და რუსეთის ახალი ისტორიიდან ცნობილი რევოლუციონერის ტიპისა. ამ თვალსაზრისით, ქართველობა განმსაზღვრელი ფაქტორია მის ხასიათში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას, უფრო შორეულ წარსულზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოს ისტორიაში შეადარებთ ვინმეს. მიუხედავად დიდი სულიერი ნათესაობისა, ძალზე პირობითი იქნებოდა მისი შედარება თვით ანტირევოლუციონერ ილია ჭავჭავაძესთანაც კი, იმდენად განსხვავებულ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ამ ორ პიროვნებას. ზვიად გამსახურდიას დახასიათება შეიძლება როგორც "კლასიკური გმირისა", რომელიც აწმყოში ცდილობს აღადგინოს ისტორიული სიმართლით განმტკიცებული ცხოვრების ფორმა. ევროპულ ლიტერატურაში მსგავსი გმირები არიან გოეთეს ეგმონტი და შილერის ვილჰელმ ტელი, რომელთაც იმავდროულად ჰყავდათ თავიანთი ისტორიული პროტოტიპები. აქვე დავასახელებთ მიხაელ კოლჰასს კლაისტისა. კლასიკური გმირი ახალ დროში დაპირისპირებულია თანამედროვე ცენტრალისტურ სახელმწიფოსთან, და საბჭოთა იმპერია სხვა არაფერია, თუ არა ამის უკიდურესი გამოვლინება. ეს ის ბოროტებაა, რომელიც, სახარებისეული ენით თუ ვიტყვით, "ჭეშმარიტების მიერ განთავისუფლებულმა" ადამიანებმა უნდა დასძლიონ. ფრიდრიხ ნიცშეს თქმით, იგია "ახალი კერპი", რომელიც "სცრუობს კეთილისა და ბოროტის ყველა ენით... სად ყოველი შხამსა სვამს, კეთილიც და უკეთურიც; სად ყოველნი ერთმანეთს ჰკარგავენ, კეთილნიც და უკეთურნიც: სახელმწიფო, სად ნელს თვითმკვლელობას ყოველთა "ცხოვრება" ეწოდება." სწორედ ამგვარი დესპოტური სახელმწიფოს ძირეული ჰუმანიზაცია სურდა ზვიად გამსახურდიას და არა მისი შელამაზება ევროპულ-ამერიკული ტიპის "დემოკრატიით" და "საბაზრო ეკონომიკით". მან საბჭოთა კავშირში ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რა ახალ-ახალი ნიღბების და სახელების მორგება შეუძლია ამ ახალ კერპს და რა ოსტატობით აკეთებს ამას.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ იაშვილმა

გაგრძელება იქნება

**მარტის შუა რიცხვებში ლანჩხუთის სასამართლოში დაიწყო საქმის განხილვა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა - ბიძინა გუჯაბიძისა და მირიან ხინთიბიძის მიმართ.**
**ბიძინა გუჯაბიძე, ლანჩხუთის რაიონის მკვიდრი, დაბადებული 1956 წლის 24 თებერვალს, პროფესიით იურისტი, მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის პრეფექტურის განყოფილების გამგედ. 1993 წლის 19 ოქტომბერს, ლანჩხუთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა რაიონის მმართველად...**
**1994 წლის 25 იანვარს დააპატიმრეს უშიშროების სამსახურისა და პროკურატურის ერთობლივი "ოპერაციის" შედეგად. 8 დღის განმავლობაში უსანქციოდ, ყოველგვარი ბრალდების წარდგენის გარეშე იმყოფებოდა თბილისის სამხედრო კომენდატურის სატუსაღოში. დაპატიმრებიდან მერვე დღეს პროკურატურის მუშაკებმა ჩაუტარეს ერთადერთი დაკითხვა. მისი უსანქციო პატიმრობა გაგრძელდა წელიწადზე მეტ ხანს.**
**განსასჯელთა სკამზე ბიძინა გუჯაბიძესთან ერთად ზის ოზურგეთის რაიონის მკვიდრი, კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცერი - მირიან ხინთიბიძე.**

# ხელისუფლება აგრძელებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას

## 21 მარტის სასამართლო სხდომაზე პოლიტპატიმრებმა ბიძინა გუჯაბიძემ და მირიან ხინთიბიძემ გააკეთეს განცხადება:

"...1991 წლის 31 მარტს ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევით ჩატარებულ იქნა რეფერენდუმი, საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფასა და მის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.

ამ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ერთსულოვნად მოაწერა ხელი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთი სწორი გზა აირჩია - გამოაცხადა გარდამავალი პერიოდის პროგრამა, რომელიც ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივი სფეროს, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების თანდათანობით აღდგენა-აღმშენებლობას ითვალისწინებდა.

იმპერიის დაშლის შედეგად მმართველობას, ანუ პრივილეგირებულ მდგომარეობას ჩამოცილებულ "დიდ პოლიტიკოსთა" ერთი ჯგუფი და მათთან ერთად ნეოიმპერიის შეკოწიწების მოსურნე ძალები შეძრწუნდნენ, როცა საქართველოში ეროვნული ხელისუფლების გონივრული მოქმედებით დაისახა ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი სტრატეგიული გადაწყვეტილებები და მათი განხორციელების რეალური გზები. თუ ქვეყანა ამ რაციონალურ მიმართულებას აირჩევდა, ეს გემრიელი ლუკმა იმპერიისთვის საბოლოოდ იკარგებოდა.

[illegible] ამიტომ ამოქმედდა იმპერიის არსენალში მყოფი ე.წ. ავტონომიების ფეთქებადსაშიში ნაღმი, გააქტიურდნენ სპეცსამსახურები, არენაზე გამოჩნდნენ ამბიციით გაღვიძებული ფსევდოეროვნული ძალები, წითელი ინტელიგენციისა და დანაშაულთა სამყაროს გარკვეული ნაწილის დახმარებით, იმპერიის სპეცნაწილებმა ქვეყნიდან განდევნეს კანონიერი უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი.

უკანონო რეჟიმმა მასშტაბური ძალმომრეობა განახორციელა: დაირბა, დაიხვრიტა უამრავი მშვიდობიანი აქცია; იდევნებოდა და იდევნება მმართველი რეჟიმის ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგე; დღემდე მიმდინარეობს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მომხრეთა დაპატიმრება და "გასამართლება"; მრავალგზის აწიოკდა სამეგრელო; გაჩაღდა ყოვლად გაუმართლებელი და უზნეო ომი აფხაზეთში; რეფერენდუმის შედეგების გვერდის ავლით, საქართველო თვითნებურად გააწევრიანეს დსთ-ში.

ხუნტამ ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის პოლიტიკური აზრი, მისი ნება და იდეალები. ხალხის ნება კი უზენაესი კრიტერიუმია ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში სახელმძღვანელოდ: "ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას" ("ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი).

იგივე პრინციპია გაცხადებული ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის კოპენჰაგენის 1990 წლის 29 ივნისის თათბირის დოკუმენტში, სადაც ნათქვამია: "დაგმობილ უნდა იქნეს ძალმომრეობა, რაც მიზნად ისახავს ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების დამხობას".

კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ, თავისი მოღვაწეობის პერიოდში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რომლის ძალითაც ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულება სავალდებულო ხასიათს ატარებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს გადაწყვეტილებები იურიდიულად დღესაც ძალაშია.

მაგრამ რა სამართლიანობაზე და კანონიერებაზე შეიძლება საუბარი უკანონო ხელისუფლებასთან და მის მარიონეტ სამართალდამცავ ორგანოებთან, რომელიც მისივე სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ასრულებს; მხედველობაში გვაქვს 1992 წლის 29 აპრილს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული №14 დადგენილება: "უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ", სადაც ვკითხულობთ: "ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტით და მოქმედი კანონმდებლობით უკვე აღიარებულია საერთაშორისო ნორმების პრიმატი(...), საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ერთგული რჩება მის მიერ ადრე აღიარებული კურსისა, რომ პრაქტიკაში ფართოდ იქნეს გამოყენებული და ცხოვრებაში გატარებული საერთაშორისო ნორმებით განმტკიცებული მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები".

უკანონობისა და უზნეობის წინაშე თვალდათხრილი და სმენადახშული უზენაესი სამართალდამცავი ორგანოს ეს დადგენილება სამართლებრივი ცინიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს - პუტჩის გზით მოსული "ხელისუფლების" მიმართ უზენაესმა სასამართლომ, რესპუბლიკის პროკურატურის მსგავსად, არ განახორციელა არსებული კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, არ შეასრულა კონსტიტუციის 1,2,3,4,5,6 მუხლების მოთხოვნები და სსსკ-ის მე-3-ე მუხლის ნორმა, სადაც წერია: "სასამართლო და პროკურატურა ვალდებულნი არიან თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მიიღონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის და დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად".

არც ერთ ზემოთ დასახელებულ ორგანოს ასეთი კანონიერი ქმედება არ განუხორციელებია. მეტიც, მათ ყოვლად უკანონოდ აღძრეს ს/ს საქმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა წინააღმდეგ.

იურიდიულ ენაზე ამას უკანონო, ანუ დანაშაულებრივი ქმედება ჰქვია. ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გაასამართლეს "ყვარლის ტყის", "ანძების ამფეთქებელთა", "ჩიქოვანის ქუჩის", "სამეგრელოში მოქმედი მოღალატეებისა და ბანდიტების" და სხვა საქმეებში მონაწილე მრავალი ქართველი პატრიოტი.

ამ უკანონობის მიზეზით, უკვე ორ წელზე მეტია პატიმრობაში ვიმყოფებით ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ბრალდებებით.

ჩვენი არაკანონიერი პატიმრობა და გასამართლება ემსახურება ერთადერთ მიზანს - რეჟიმს იზოლირებული ჰყავდეს პოლიტიკური ოპონენტი, რომელიც იმდენად უფლებააყრილია, რომ ყველაფერი შეიძლება დააბრალო, თვით ისეთი დანაშაულიც კი, რომელიც მმართველი რეჟიმის მიერ იქნა ჩადენილი; ვიღაცას ხომ უნდა დაბრალდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისება, ქვეყნის გაჩანაგება. ამასთან, ეროვნულ სულიერ ფასეულობათა დაკნინება-დისკრედიტაციის ფონზე უნდა აღსრულდეს იმპერიის მონა-მორჩილი ფაქტობრივი ხელისუფლების ოცნება - დათრგუნოს და მიწასთან გაასწოროს ქართველ ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა.

თუკი ამ მსჯელობას ქვემოთ მოყვანილ გარემოებებსაც დავუმატებთ, აშკარა გახდება, რომ ჩვენ პოლიტპატიმრები ვართ. პოლიტპატიმრის არსისა და დეფინიციის აშშ-ს მთავრობის მიერ მიღებული დებულების თანახმად: "პოლიტპატიმრად ჩაითვლება:

- პირი, რომელიც დაპატიმრებულია ბრალდების გარეშე, ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპებზე დაფუძნებული ისეთი მოქმედების გამო, როგორიცაა აზრის თავისუფლება; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, პოლიტიკური ნიშნით ან გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფში მონაწილეობა.
- პირი, რომელიც დაპატიმრებულია ისეთი კანონის თანახმად, რომელიც უკანონოდ არის მიჩნეული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების მიხედვით. კანონი ითვლება უკანონოდ, თუ წაყენებული ბრალდება: 1. შეუწყნარებლად არღვევს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს; 2. ემყარება რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ, პოლიტიკურ შეხედულებებს ან რაიმე საზოგადოებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობას.
- პირი, რომელიც დაპატიმრებულია პოლიტიკურად მოტივირებული აქტებით, რაც გარეგნულად ლეგიტიმურ კანონს ეფუძნება, მაგრამ რეალურად მას რელიგიური, რასობრივი, ეროვნული და პოლიტიკური ნიშნის გამო უხეშად და დისკრიმინაციულად ექცევიან".

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ დეფინიციაში თითქმის ყველა სიტყვა და აბზაცი ჩვენს პოლიტპატიმრობას ადასტურებს.

რესპუბლიკის პროკურატურა ბრალს გვდებს უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში - სამშობლოს ღალატსა და ბანდიტიზმში. ფაქტობრივად კი, ალბათ, ხმამაღალი განცხადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი "ბრალი" სამშობლოს ერთგულება და სიყვარულია.

ჩემი ბრძოლა უკანონო "ხელისუფლების" წინააღმდეგ გამოიხატებოდა იმაში, რომ არ ვითანამშრომლე მასთან; ვმონაწილეობდი მშვიდობიან საპროტესტო აქციებში; 1993 წლის ივნისიდან ჩამოვაყალიბე კონსტანტინე გამსახურდიას ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაცია, რომლის წევრთა შეხვედრები იმართებოდა ნახევრად ლეგალურ პირობებში. ეს შეხვედრები პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ ხასიათს ატარებდა.

ჩემთან ერთად ასამართლებენ მირიან ხინთიბიძეს - კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცერს - მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ უღალატა ქართველი ერისთვის და პრეზიდენტისთვის მიცემულ ფიცს.

კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ სამშობლოს მოღალატეები და ბანდიტები ფაქტობრივი ხელისუფლების რიგებში არიან და მათი გასამართლება მხოლოდ და მხოლოდ დროის ფაქტორით განისაზღვრება.

ჩვენ უკანონობის, უზნეობის, ქართველი ერის გადაგვარება-გადაშენების, სამშობლოს მოღალატეების, საერთაშორისო ავანტიურისტების წინააღმდეგ იდეურად მებრძოლი ხალხი ვართ, ამიტომაც აპირებენ ჩვენს დასჯას. პირდაპირობა, შეუპოვრობა და სიმართლისმოყვარეობა - ჩვენი მოქმედების მასულდგმულებელია, იგი წინაპართაგან მოგვდგამს და ამ გზას არ გადავუხვევთ, თუნდაც უმკაცრესი სასჯელით დაგვსაჯონ.

კატეგორიულად ვაცხადებთ, ჩვენ არ გვეშინია ჩვენს მიმართ გამოტანილი სასჯელის ნებისმიერი ზომისა, რადგან მიგვაჩნია, რომ ღვთისა და ერის წინაშე უდანაშაულონი ვართ.

დაბოლოს, ჩვენ ამ უკანონო პროცესში მონაწილეობაზე უარი არ განგვიცხადებია, რადგანაც მასში მონაწილეობა გვაძლევს შანსს - ვამხილოთ ფაქტობრივი ხელისუფლების უკანონობა და მისი ანტიეროვნულობა. სასამართლოს შემადგენლობის მიმართ კი ერთადერთი თხოვნა გვაქვს - მოგვცეს ჩვენი აზრისა და შეხედულებების გამოთქმის საშუალება.

ჩვენი განსჯა კი ღვთისა და ერის საქმეა.

(იბეჭდება შემოკლებით)

**TAVISUPALI SAKARTVELO**
**(FREE GEORGIA)**
**No11 (in brief)**
**2 - 8 April, 1996**

## Korbesashvili Ceased Hunger-Strike

As it became known to us, Mr. Giorgi Korbesashvili who is kept in the lock-up cell was tranferred on the fourteenth day of his hunger-strike to the prison hospital. Only after this the hunger-striker was visited by the representatives of the Parliament Subcommisssion for Prisoner' Human Rights, though this visit failed to make Mr. Korbesashvili to change his mind. On March 29, on the eighteenth day of hunger-strike after some violations existing in the materials of his Case had been officially recorded, the political prisoner ceased his protest action and consented to get familiar with the materials of the Case.

## Condemned "Zviadists" are Again Suffering from Oppression

The society is well aware of that the great majority of the condemned "Kvareli Case boys" who had been moved to Ksani colony with a strict regime to serve their terms some time later were absolutely unlawfully and without any sound grounds were trailed and sentenced to 1-3 years of imprisonment for the faked charge of the attempt to dig a tunnel. Thus, the administration of the Ksani colony has invented a brilliant mean to get rid of the undesirable and disobedient political opponents. Some of the condemned for the "Kvareli Case", namely Lery Donadze, Gela Gachechiladze, Emzar Kobaidze and others, are still in the prison. The state of health of many of them due to the unbearable conditions in the prison cells is seriously aggravated.

It seems, the punishing of the "Zviadists" for the attempt to dig a tunnel is acquiring a character of tradition - this time the experience of the Ksani colony administration in oppressing the condemned political prisoners was successfully used by the Head of #1 Rustavi Colony. He for several months was keeping the supporters of the lawfulness in the lock-up cell under the same pretense of the attempt to dig a tunnel. They were Ruzgen Khasia (from October 1994), Mamuka Chukhua (from January 10, 1996), David Kupunia (from January 13, 1996). Of interest is the fact that the above tunnel by the time of placing Khasia into the lock-up cell did not existed in nature and was "discovered" only two weeks later. The condition of the condemned is further aggravated by the fact that their transfer to the prison became possible only recently because the prison had been overloaded - all three prisoners for months were kept under the unbearable condition of the locked-up cell. These condition had an adverse impact on their health: D. Kupunia and M. Chukhua have the symptoms of tuberculosis, besides Chukhua is suffering from the head injuries received as a result of tortures he was subjected to in the course of investigation. As a result his mentality occasionally becomes blurred.

## Zviad Dzidziguri Takes Legal Steps against Shevardnadze

On March 26 at the Court Session the member of the Supreme Council Mr. Zviad Dzidziguri informed the Court Board that in relation with protection of his honor and dignity has taken legal steps in the Krtsanisi District Court against Eduard A. Shevardnadze residing in the Krtsanisi governmental residence. In his statement of claim Mr. Zviad Dzidziguri says: "The representative of the factual authorities Mr. E. Shevardnadze in his radio interview ventured to call me terrorist, murderer, ruiner and raider of Samtredia, arsonist of villages, executor of many terrorist action and diversions, criminal, by which statement he had offended my honor and dignity.

I am appealing to you with a request to enter a lawsuit in relation to the above fact and to restore my dignity. The slanderer should be punished with strict observance of the Law."

he statement is attached with an appendix - the "Sakartvelos Respublica". newspaper, #74 (1090) of July 4, 1995, where is published the above interview of Shevardnadze.

It is noteworthy that the Krtsanisi District Court refused to accept the statement of claim under the pretense that he had doubts whether it was really written by Mr. Zviad Dzidziguri.

I. Dgebuadze

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის №0441
იბეჭდება ს/ს "კეგელში"

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia